



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 99

22/12/2017

ვერა გურგენიძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. მივლინებულ იქნას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ვერა გურგენიძე ამა წლის 22 დეკემბერს, მის: ქ. ქუთაისი, კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, თემა- „ადგილობრივი გენდერული პოლიტიკა-პერსპექტივები და გამოწვევები“ მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო